



**საქართველო**  
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**  
**უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე**

**ბრძანება №67**

ჩაქვი

„31“ დეკემბერი 2019 წ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს**  
**2020 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-მე-8, მე-12 და 22-ე მუხლების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის „ი“ და „ტ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის საშტატო ნუსხა, თანახმად დანართისა.
2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N82 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.
3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს ზურაბ ჭურკვიძეს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 01 იანვრიდან.

**დავით გაბაიძე**